ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №2

21 დეკემბერი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
10:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, მარიამ ზაქარიაშვილი, ნათია მოდებაძე, ნინო კვიტაიშვილი და გიორგი შარაშიძე.

მოწვეული სტუმრები:

1. მაკა ნასრაშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. ლევან მიქავა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის საქმიანობის და თანამშრომლობის განსაზღვრა;
2. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ;
3. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
4. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **(წერილი-№12-032135419-03; 20.12.2021)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მაკა ნასრაშვილი

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

მომხსენებელი: ლევან მიქავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის მიერ დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და პრეზენტაციის სახით წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.**

1. როგორც განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, საქმიანობის ძირითად ასპექტებსა და კომისიის სამომავლო საქმიანობის მთავარ თემატიკას შეადგენს სამუზეუმო რეფორმა, ბიბლიოთეკებისა და მედიათეკების მოდერნიზება, სკოლების სახელდება, თბილისის მუნიციპალური თეატრების მხარდაჭერა, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება, პანთეონების მოწყობის/მოპირკეთების საკითხთა აქტუალიზაცია, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლისა და სახელოვნებო სკოლების მოდერნიზება და ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება **(იხ., პრეზენტაცია დანართი №1-ის სახით, 18 ფრ).**

როგორც განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახაბერ ლაბუჩიძემ სხდომაზე განაცხადა, ის მზად არის კომისიის წევრებთან კოორდინირებულად ითანამშრომლოს და იმედოვნებს, რომ ეს თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება დედაქალაქისთვის, რაც თავის მხრივ, გამოიხატება მეტი ინოვაციური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების წარმატებით განხორციელებაში.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

კახაბერ ლაბუჩიძემ, ზურაბ ჩიკვილაძემ, ნინო კვიტაიშვილმა, გიორგი შარაშიძემ, მაკა ნასრაშვილმა.

კომისიის წევრის, ზურაბ ჩიკვილაძის მხრიდან აღინიშნა, რომ ერთ-ერთი პრეზენტაცია შეეხო სამუზეუმო რეფორმას. მისი განმარტებით, ილია ჭავჭავაძის სახელობის ორი მუნიციპალური მუზეუმი არსებობს და როგორც ცნობილია, ერთ-ერთში (ლიტერატურულ-მემორიალური) ჩატარდა რეაბილიტაცია-რესტავრაცია, რომლის პრეზენტაციაც იყო ორი თვის წინ. ზურაბ ჩიკვილაძე დაინტერესდა, რა ბედი ელის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს, რაზეც კახაბერ ლაბუჩიძემ განმარტა, რომ 2022 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს ილია ჭავჭავაძის მუზეუმის რეაბილიტაციას. 2021 წლის 13-14 დეკემბერს, ის იმყოფებოდა მუზეუმების გაერთიანების ხელმძღვანელთან, ნინო სანადირაძესთან ერთად ყველა მუნიციპალურ მუზეუმში და მათ შორის, ილია ჭავჭავაძის სარეაბილიტაციო შენობაში, სადაც ყველა ექსპონატი დალუქულია და 2022 წლიდან, რეაბილიტაცია-რესტავრაციის აქტიური სამზადისია დაგეგმილი.

კომისიის წევრის, ნინო კვიტაიშვილის კითხვა შეეხებოდა პრეზენტაციის იმ ნაწილს, რომელიც საბიბლიოთეკო და მედიათეკების რეფორმას შეეხებოდა. კომისიის წევრი დაინტერესდა, რამდენ ბიბლიოთეკაშია თხუთმეტათასიანი წიგნადი რესურსი. მისი

განმარტებით, ეს კითხვა განპირობებულია პროფესიული კუთხით. წლების მანძილზე ის იყო ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსი და მისთვის ცნობილია წიგნადი ფონდების თემატიკა. მისი თქმით, ეს ციფრი რაოდენობრივად მცირეა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, აუცილებელია გამდიდრდეს საბიბლიოთეკო რესურსი. ნინო კვიტაიშვილის განცხადებით, წიგნთან და წიგნიერებასთან მიმართებით მეტი მუშაობა გვმართებს, რამდენადაც ოცდამეერთე საუკუნეში არის უამრავი საშუალება, როგორიცაა ელექტრონული წიგნები და მათი სათანადო აღჭურვა შესაძლებელია, რაზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, მაკა ნასრაშვილმა უპასუხა, რომ თხუთმეტი ათასი წიგნი არის მხოლოდ მთავარ ბიბლიოთეკაში (ტოსტონოგოვზე). სინამდვილეში კი, ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი შეადგენს 940,000 ერთეულს.

კომისიის წევრი, გიორგი შარაშიძე დაინტერესდა პანთეონების თემატიკით და მისი კითხვა შეეხებოდა პანთეონში დაკრძალვის პასუხისმგებლობას, თუ ვინ არის აღნიშნულზე უფლებამოსილი პირი, რაზეც კახაბერ ლაბუჩიძისგან განემარტა, რომ თბილისის მერის გადაწყვეტილებით ხდება პირის პანთეონში დაკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

ნინო კვიტაიშვილის მხრიდან დაისვა კითხვა პანთეონებთან დაკავშირებით, კერძოდ: რამდენი პანთეონია მუნიციპალურ დაქვემდებარებაში, რაზეც კომისიის თავმჯდომარემ, კახაბერ ლაბუჩიძემ უპასუხა, რომ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონი ბოლო დრომდე შედგებოდა სამი სუბიექტისაგან: მთაწმინდის, დიდუბის და სომხური პანთეონებისაგან, 2018 წელს კი თბილისის პანთეონს დაემატა კიდევ ერთი სუბიექტი – მახათას ახალი პანთეონი.

2. განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, კახაბერ ლაბუჩიძემ წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი,** რომელიც შეეხებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრას, რაც გამომდინარეობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-6 დადგენილების მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტიდან.

როგორც კახაბერ ლაბუჩიძემ აღნიშნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 23-ე მუხლის, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №3-6 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია კომისიის წევრთაგან განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის.

საკანონმდებლო მოთხოვნიდან გამომდინარე, კახაბერ ლაბუჩიძემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაასახელა კომისიის წევრი, ზურაბ ჩიკვილაძის კანდიდატურა.

კომისიის წევრების მიერ სხვა კანდიდატები არ დასახელებულა.

სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ ლაბუჩიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრის ზურაბ ჩიკვილაძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად განსაზღვრის საკითხი.

მომხრე ---------- 4
წინააღმდეგი ----------1 (კომისიის წევრი, ნინო კვიტაიშვილი)
თავი შეიკავა ---------- 1 (კომისიის წევრი, გიორგი შარაშიძე)

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობით დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვროს ზურაბ ჩიკვილაძე.

3. განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, წარადგინა დღის წესრიგით **განსაზღვრული მესამე საკითხი,** რომელიც შეეხებოდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

სხდომის მიმდინარეობისას, განსახილველი საკითხის თაობაზე განიმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-12 დადგენილებაში განსახორციელებელი ცვლილებები ძირითადად ტექნიკური ხასიათის მატარებელია.

წარმოდგენილი პროექტით, გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულ წესში ცვლილების შეტანა, კერძოდ, წესის

ა) მე-3 მუხლის:

ა.ა) მე-8 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„8. საპროექტო განაცხადის ფორმა არ ივსება იმ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნილია დაფინანსება ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებში და ოლიმპიურ/პარაოლიმპიურ თამაშებში ინდივიდუალურ, წყვილთა/ჯგუფთა, გუნდურ (პირად-გუნდური) სპორტის სახეობებში პრიზიორების დაჯილდოებისათვის, ფეხბურთის, კალათბურთის, რაგბის, ფრენბურთის, ხელბურთის ან ჰოკეის (დარბაზის) საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში პრიზიორი ქალთა გუნდების/კლუბების დაჯილდოებისთვის, პარასპორტის გუნდური სახეობის საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი

გუნდების/კლუბების დაჯილდოებისთვის, სპორტული ორგანიზაციების სპორტული ინვენტარითა და ეკიპირებით უზრუნველყოფისათვის, ქალთა გუნდების/კლუბების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გუნდების/კლუბების სპორტული ინვენტარით ან/და ეკიპირებით უზრუნველყოფისათვის, ასევე, კომუნალური გადასახადების დაფარვისთვის.";

ა.ბ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებში და ოლიმპიურ/პარაოლიმპიურ თამაშებში ინდივიდუალურ, წყვილთა/ჯგუფთა, გუნდურ (პირად-გუნდური) სპორტის სახეობებში პრიზიორების დაჯილდოების, ფეხბურთის, კალათბურთის, რაგბის, ფრენბურთის, ხელბურთის ან ჰოკეის (დარბაზის) საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში პრიზიორი ქალთა გუნდების/კლუბების დაჯილდოების, პარასპორტის გუნდური სახეობის საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი გუნდების/კლუბების დაჯილდოების, სპორტული ორგანიზაციების სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების, ქალთა გუნდების/კლუბების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გუნდების/კლუბების სპორტული ინვენტარის ან/და ეკიპირების შესაძენად, ასევე, კომუნალური გადასახადების დაფარვისთვის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევებში, არ გამოიყენება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადა. ამ შემთხვევებში, სპორტის შესაბამისი ორგანიზაციების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და განაცხადის ფორმას განსაზღვრავს სამსახურის უფროსი.";

ბ) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„3. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში და ოლიმპიურ/პარაოლიმპიურ თამაშებში ინდივიდუალურ, წყვილთა/ჯგუფთა, გუნდურ (პირად-გუნდური) სპორტის სახეობებში მიღწეული წარმატებისთვის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების და ოლიმპიური/პარაოლიმპიური თამაშების დაწყების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების შემოტანის დღისთვის ქალაქ თბილისში რეგისტრირებული სპორტსმენების დაჯილდოება შესაძლებელია შემდეგნაირად:

წარმოდგენილი პროექტით, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში და ოლიმპიურ/პარაოლიმპიურ თამაშებში მიღწეული წარმატებისთვის ყველა სპორტსმენის წახალისების მიზნით, წესის მე-3 მუხლის მე-8, მე-9 პუნქტებში და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში ემატება შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „ინდივიდუალურ, წყვილთა/ჯგუფთა, გუნდურ (პირად-გუნდური) სპორტის სახეობებში", ასევე, ვინაიდან, აღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული იყო მხოლოდ ოლიმპიური თამაშები/სახეობები და პარა სახეობებში ტარდება პარაოლიმპიური თამაშები, დაზუსტდა ჩანაწერი და დაემატა პარაოლიმპიური თამაშები და პარაოლიმპიური სახეობები. ამასთანავე, ყველა სპორტსმენის დაჯილდოების მიზნით, რომლებიც ყოველი წლის პირველი იანვრისთვის არ იყვნენ რეგისტრირებული ქალაქ თბილისში, წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ჩანაწერი „ქალაქ თბილისში ყოველი წლის პირველი იანვრისთვის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების შეტანის დღისთვის უწყვეტად თბილისში რეგისტრირებული" იცვლება ჩანაწერით – „მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების და ოლიმპიური/პარაოლიმპიური თამაშების დაწყების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების შემოტანის დღისთვის ქალაქ თბილისში რეგისტრირებული".

როგორც სხდომაზე აღინიშნა, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამის განხორციელების წესში ტექნიკური ხასიათის ცვლილებების მიზნით კომისიის თავმჯდომარემ დააყენა კენჭისყრის საკითხი.

მომხრე ---------- 4
წინააღმდეგი ----------1 (კომისიის წევრი, ნინო კვიტაიშვილი)
თავი შეიკავა ---------- 1 (კომისიის წევრი, გიორგი შარაშიძე)

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობით დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მხარს უჭერს მის გატანას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

4. განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული მეოთხე საკითხი,** რომელიც შეეხებოდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **(წერილი-№12-032135419-03; 20.12.2021)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში ცვლილების განხილვას.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
მაკა ნასრაშვილმა, ლევან მიქავამ, ნინო კვიტაიშვილმა.

სხდომის მიმდინარეობისას, განსახილველი საკითხის თაობაზე დეტალური ინფორმაცია წარადგინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ლევან მიქავამ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, მაკა ნასრაშვილმა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტობრივად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით **(იხ., დეტალური ანალიზი დანართი №2-ის სახით, 07 ფრ),** რომლის თანახმად **იზრდება** არაფინანსური აქტივების კლებიდან (ძირითადი აქტივების გაყიდვიდან) მისაღები შემოსავლები – 3 476 900 ლარის ოდენობით, ხოლო **მცირდება** ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები – 3 253 900 ლარით და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები – 220 000 ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა არ იცვლება და შეადგენს 1 270 531 800 ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებაში წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით განიმარტა, რომ აღნიშნული სფეროების ხელშემწყობი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

იზრდება: პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნება – 100 000 ლარი, იურიდიული კლინიკა (კოდი 07 05 02) – 19 100 ლარი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) ქვეპროგრამის ასიგნება – 18 800 ლარი, სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (კოდი 08 01 05) – 11 700 ლარი, საკონცერტო ორკესტრი ბიგ-ბენდი (კოდი 08 04 01) – 29 100 ლარი, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 12) პროგრამის ასიგნება – 9 000 ლარი.

მცირდება: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 6 082 300 ლარი, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 02 01) – 50 000 ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 340 000 ლარი, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) – 50 000 ლარი, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე (კოდი 07 06 01) – 400 000 ლარი, თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი (კოდი 08 01 03) – 50 000 ლარი, სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) – 31 400 ლარი, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნება – 3 556 400 ლარი, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) ქვეპროგრამის ასიგნება – 30 000 ლარი, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 75 000 ლარი, შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) – 30 000 ლარი, რაც ძირითადად განპირობებულია სატენდერო ეკონომიებით.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, ნინო კვიტაიშვილი დაინტერესდა, ბიუჯეტის დამტკიცების ნაწილში რამდენია აუთვისებელი თანხა (ბიუჯეტის ეკონომია), რაზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ლევან მიქავამ დამატებითი განმარტება გააკეთა, რომ სუფთა ეკონომია გამოდის 14 მილიონი ლარი, რაც განპირობებულია იმით, რომ არსებობს პროექტები, რომლებიც გარდამავალ პერიოდში უნდა შესრულდეს; რაც შეეხება უშუალოდ კულტურის ნაწილს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, მაკა ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ კულტურის მიმართულებით სატენდერო ეკონომიებმა შეადგინა 340 000 ლარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ დააყენა კენჭისყრის საკითხი.

მომხრე ---------- 4
წინააღმდეგი ----------1 (კომისიის წევრი, ნინო კვიტაიშვილი)
თავი შეიკავა ---------- 1 (კომისიის წევრი, გიორგი შარაშიძე)

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობით დაადგინა:

კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილების პროექტს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

განათლებისა და კულტურის
კომისიის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა

დანართი #1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია

ქ. თბილისი
2021

კომისიის შემადგენლობა

კახა ლაბუჩიძე

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

თინათინ ნიბლოშვილი

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

ზურაბ ჩიკვილაძე

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

მარიამ ზაქარიაშვილი

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

ნათია მოდებაძე

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

სოფიო ჯაფარიძე

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ნინო კვიტაიშვილი

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

გიორგი შარაშიძე

საქართველოსთვის

კომისიის საქმიანობაში შემავალი თემატიკა

1. თბილისის მუზეუმების გაერთიანება;
2. თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტო;
3. თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება;
4. თბილისის მუნიციპალური თეატრები;
5. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე და სახელოვნებო სკოლები;
6. სკოლის სახელდება;
7. თბილისის პანთეონები;
8. მემორანდუმები;
9. ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა.

თბილისის მუზეუმების გაერთიანება

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი

გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური სახლ-მუზეუმი



გიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი

მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი

კოტე და სოსო ფარეთლეების მემორიალური სახლ-მუზეუმი

ვახტანგ ჭყონიას მემორიალური სახლ-მუზეუმი

ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი

გიხეილ ჯავახიშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი

თბილისის თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმი

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი



შიო არაგვისპირელის მემორიალური სახლ-მუზეუმი

საგანმანათლებლო ცენტრი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე



მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, დაახლოებით, 80-წლიანი ისტორიის მქონე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია, სადაც დღეისთვის, 4 500-მდე მოსწავლეა რეგისტრირებული. შენობაში არქიტექტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, საინტერესო სივრცეებია – სარკეებიანი, მარმარილოსა და თეთრი დარბაზები.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაცია 2023 წელს დასრულდება.

თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტო

- 2021 წლის მდგომარეობით, სააგენტოს მართვაშია 188 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დასაქმებულია 11 000-მდე ადამიანი და რეგისტრირებულია 61 000-მდე აღსაზრდელი;
- 2021 წელს, დედაქალაქში 2 ახალი ბაგა-ბაღი შევიდა ექსპლუატაციაში; (№101 ბაგა-ბაღი გლდანის მე-6 მკ/რაიონში და №164 ბაგა-ბაღი სამგორის რაიონში, ვარკეთილის ზემო პლატოზე); აღსაზრდელებისათვის საკვები პროდუქტების დარიგება გაგრძელდა 2021 წლის იანვარ-თებერვალში (გაიცა 4-ეტაპად) და მიმდინარეობდა სააღმზრდელო პროცესის განახლებამდე (მარტის თვე);
- განხორციელდა 14 საბავშვო ბაღის ავარიული შენობის დემონტაჟი.

თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტო

დაწყებულია და მიმდინარეობს ახალი ბაღების მშენებლობა:

- ✓ დიდუბის რაიონი, №19 ბაგა-ბაღი, დიღმის მასივი, კვ. 4, ახმეტელის ქ. №2;
- ✓ ისნის რაიონი, ვაზისუბანი, აშოტ კურაპალატის ქუჩა;
- ✓ ისნის რაიონი, ნავთლუღის ქუჩა;
- ✓ კრწანისის რაიონი, ორთაჭალის ქუჩა №90;
- ✓ სამგორის რაიონი, ბაგა-ბაღი „ვარკეთილის მეურნეობა“, რუსთაველის ქ. №18;
- ✓ ჩუღურეთის რაიონი, №125 ბაგა-ბაღი, ო. ქინქლაძის №90;
- ✓ სამგორის რაიონი, ე.წ. აფრიკის დასახლებაში – თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ განახორციელა ძველი ბაღის შენობის დემონტაჟი, შეისწავლა დაკონსერვებული შენობის მდგომარეობა და გამოაცხადა ტენდერი. გამარჯვებულმა კომპანიამ სექტემბრის პირველ რიცხვებში დაიწყო პროექტების განხორციელება. პროექტის თანახმად, ახალი ბაღი 12-ჯგუფიანი იქნება, მიიღებს 400-მდე აღსაზრდელს და დაასაქმებს 100-მდე მოქალაქეს.

თბილისის მედიათეკების გაერთიანება

- თბილისის მედიათეკების გაერთიანების სამართლებრივი ფორმა არის ააიპ;
- აერთიანებს სამ ფილიალს - ვაკის, ნაძალადევის, ვარკეთილის;
- წიგნადი ფონდი - 15 000-მდე (ტოსტონოგოვზე).

ვაკის ფილიალი



ვარკეთილის ფილიალი



ნაძალადევის ფილიალი



თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა

თბილისის მერიის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება 2018 წელს კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების რეფორმის ფარგლებში შეიქმნა, რომელიც დედაქალაქის 36 ბიბლიოთეკასა და 3 მედიათეკას აერთიანებს.

მოდერნიზებული ბიბლიოთეკის მოდელი

- ინფრასტრუქტურულად გამართული, ადაპტირებული და სრულად აღჭურვილი ტრადიციული ბიბლიოთეკა;
- მართვის თანამედროვე, ელექტრონული და ინოვაციური სისტემებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- სხვადასხვა ინტერესისა და ასაკის ჯგუფებზე გათვლილი ბიბლიოთეკა;
- მრავალფეროვანი სერვისები;
- ფუნქციურად დატვირთული სივრცეები;
- მულტიმედიური ოთახები;
- ლიტერატურული კაფეები;
- წიგნისა და სუვენირების მაღაზიები;
- მკითხველთათვის კომფორტული გარემო;
- განახლებული წიგნადი ფონდი;
- კვალიფიციური კადრები;
- მომსახურების მაღალი ხარისხი;
- საკუთრი შემოსავლების ზრდა.

თბილისის მუნიციპალური თეატრები

თბილისის მერიის დაქვემდებარებაში შედის თბილისში არსებული 4 თეატრი:

- თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი;
- პანტომიმის სახელმწიფო თეატრი თბილისის თეატრი;
- სანდრო მრევლიშვილის სახელობის თეატრი „გლობუსი“;
- სამეფო უბნის თეატრი.



სკოლის სახელდება (2016–2020)

1. სსიპ ქ. თბილისის N54 საჯარო სკოლას მიენიჭა სოფიკო ჭიაურელის სახელი;

2. სსიპ ქ. თბილისის N16 საჯარო სკოლას მიენიჭა დავით სარაჯიშვილის სახელი;

3. სსიპ ქ. თბილისის N113 საჯარო სკოლას მიენიჭა ცოტნე დადიანის სახელი;

4. სსიპ ქ. თბილისის N9 საჯარო სკოლას მიენიჭა ნოდარ ახალკაცის სახელი;

5. სსიპ ქ. თბილისის N212 საჯარო სკოლას მიენიჭა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი;

6. სსიპ ქ. თბილისის N106 საჯარო სკოლას მიენიჭა ზურაბ იარაჯულის სახელი;

7. სსიპ ქ. თბილისის N218 საჯარო სკოლას მიენიჭა რუსტამ ისაევის სახელი;

8. სსიპ ქ. თბილისის N94 საჯარო სკოლას მიენიჭა ჯამბულ წურწუმიას სახელი;

9. სსიპ ქ. თბილისის N62 საჯარო სკოლას მიენიჭა ჟიული შარტავას სახელი.

მემორანდუმები

- კულტურის სამინისტროსთან;
- განთლების სამინისტროსთან;
- საავტორო უფლებათა ასოციაციასთან;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან;
- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან;
- ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფონდთან და გამომცემლობასთან;
- IBSU-სთან, საქართველოს უნივერსიტეტთან, GIPA-სთან, კავკასიის უნივერსიტეტთან, თსუ-სთან.

თბილისის პანთეონები



მთაწმინდის პანთეონი



მახათას პანთეონი



დიდუბის პანთეონი



სომხური პანთეონი (ხოჯევანქი)

ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა

2014-2020 წლებში კომისიამ მრავალი საკანონმდებლო პროექტი, წინადადება და ინიციატივა განიხილა, რომელიც თბილისის მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალურად რეალიზებას, მათი სოციალური, საგანმანათლებო და კულტურული საჭიროებების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა.თითოეული სამართლებრივი აქტი ჰარმონიზებულია და ორიენტირებულია საჯაროობასა და ანგარიშვალდებულებაზე, რის შედეგად, იზრდება გამჭვირვალობის ხარისხის და საზოგადოების მხრიდან ნდობა.

<u>კომისიამ უშუალოდაც წარადგინა მნიშვნელოვანი ინიციატივები, რომლებმაც უზრუნველყო:</u>

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელთა ჩარიცხვის პროცედურების დახვეწა;
- ხელოვნების სკოლებსა და სახლებში მოქნილი დაფინანსების სისტემის შემოღება;
- არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების ახალი სტანდარტის დამკვიდრება და ცვლილებებ

განხორციელება „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონსა და თვითმმართველი ორგანოს კანონქვემდებარე აქტებში;

- ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურს „თბილისის“ წარმატებით ჩატარება;
- თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის კულტურულ

საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქვეპროგრამების წარმატებით განხორციელება;

ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა

- ახალი და ინოვაციური პლატფორმის „შემოქმედებითი თბილისის“ ამოქმედება;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ დაფუძნება;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების“ შექმნა;
- ინიცირება მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის შვილებისთვის თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღ
რეგისტრაციის პროცედურის გამარტივების თაობაზე;
- მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირის შვილის ან/და ნაშვილების, ასევე საქართველოს ტერიტორიუ
მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებსა და სამსახურეობრივი მოვალეობ
შესრულების დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი, დაშავებული, დაღუპული და უგზო-უკვლ
დაკარგული სამხედრო მოსამსახურეებისა და საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მყოფი სამხედრო მოსამსახურეებ
შვილებისთვის დამატებითი სოციალური გარანტიების შექმნა.

გმადლობთ, ყურადღებისთვის!

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (წერილი N12-032135419-03, 20.12.2021წ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ანალიზი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი (წერილი N12-032135419-03; 20.12.2021) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის 71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ წარმოდგენილი ცვლილების პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (ძირითადი აქტივების გაყიდვიდან) მისაღები შემოსავლები – 3 476,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მცირდება ქონების გადასახდიდან მისაღები შემოსავლები – 3 253,9 ათასი ლარით და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები – 220,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა არ იცვლება და შეადგენს 1 270 531,8 ათას ლარს.

ათასი ლარი

№	დასახელება	2021 წლის დამტკიცებული გეგმა	2021 წლის გეგმა დეკემბრის ცვლილებით	სხვაობა
1	**შემოსულობები**	1 201 097,6	1 201 097,6	0
	შემოსავლები	1 132 243,4	1 128 769,6	– 3 473,9
	არაფინანსური აქტივების კლება	68 711,0	72 184,9	3 473,9
	ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	143,2	143,2	0
2	**გადასახდელები**	1 270 531,8	1 270 531,8	0
	ხარჯები	967 254,9	1 005 454,9	38 200,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	288 398,8	250 198,7	– 38 200,0
	ფინ. აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	–	–	–
	ვალდებულებების კლება	14 878,2	14 878,2	0
3	**ნაშთის ცვლილება**	69 434,2	69 434,2	0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 201 097,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 128 769,5 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

- **გადასახადები 718 169,6 ათასი ლარი,** მათ შორის:

– საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 168 180,7 ათასი ლარი;
– ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 28 401,4 ათასი ლარი;
– მიწაზე ქონების გადასახადი – 17 008,0 ათასი ლარი;
– დამატებული ღირებულების გადასახადი – 504 579,5 ათასი ლარი.

- **გრანტები 210 932,6 ათასი ლარი,** მათ შორის:

– საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 472,6 ათასი ლარი;
– მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი;
– კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 175 000,0 ათასი ლარი;
– სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან – 35 000,0 ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლები 199 667,4 ათასი ლარი, მათ შორის:

– შემოსავალი საკუთრებიდან – 10 300,0 ათასი ლარი;
– სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 31 000,0 ათასი ლარი;
– მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის – 48 000,0 ათასი ლარი;
– სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 55 000,0 ათასი ლარი;
– სანებართვო მოსაკრებელი – 11 500,0 ათასი ლარი;
– სხვადასხვა შემოსავლები – 43 867,4 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 270 531,8 ათასი ლარით, მათ შორის:

- ✓ ხარჯები განსაზღვრულია – 1 005 454,9 ათასი ლარი;
- ✓ არაფინანსური აქტივების ზრდა – 250 198,7 ათასი ლარი;
- ✓ ვალდებულებების კლება – 14 878,2 ათასი ლარი.

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 123 314,6 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 178 013,8 ათას ლარს, მათ შორის:
– არაფინანსური აქტივების ზრდა – 250 198,7 ათასი ლარი.
– არაფინანსური აქტივების კლება – 72 184,9 ათასი ლარი.
ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (69 577,4) ათას ლარს, მათ შორის:

– ფინანსური აქტივების კლება – 69 477,4 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება – 69 434,2 ათასი ლარი.

ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (14 878,2) ათას ლარს, მათ შორის:

– ვალდებულებების კლება 14 878,2 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (54 699,2) ათასი ლარით (შემოსავლებს– ხარჯები– არაფინანსური აქტივების ცვლილება).

წარმოდგენილ პროექტში ასევე გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

ათასი ლარი

კოდი	პროგრამის დასახელება	2021წ. დამტკიც. გეგმა	დეკემბრის ცვლილება	სხვაობა	შენიშვნა
1	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა– აღდგენა	309 477,8			იზრდება: გზების მოვლა– შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) ქვეპროგრამის ასიგნება – 171,5 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 28 764,0 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 15 531,8 ათასი ლარით, მცირდება: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნება – 3 950,0 ათსი ლარი, გზების მოვლა– შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 54,9 ათასი ლარი, გზების მოვლა– შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) – 801.0 ათასი ლარი, გზების მოვლა– შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 85,0 ათასი ლარი,
2	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება	223 967,9			იზრდება: ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) პროგრამის ასიგნება – 500,0 ათასი ლარი, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნება – 122,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 33,8 ათასი ლარი მცირდება: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა– რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება – 4 122,0 ათასი ლარი, უკანონო ნაგებობების

					დემონტაჟი (კოდი 02 09 09) ქვეპროგრამის ასიგნება – 47,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 172,7 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 744,9 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 165,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 120,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 38,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 100,0 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნება – 3 000,0 ათასი ლარი,ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნება – 3 000,0 ათასი ლარი,
3	ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება	179 612,5			იზრდება: დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) პროგრამის ასიგნება – 1 438,7 ათასი ლარი, მცირდება: გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 7 880,2 ათასი ლარი, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) ქვეპროგრამის ასიგნება – 74,0 ათასი ლარი.
4	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	2 952,3			მცირდება: ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნება – 274,0 ათასი ლარი,
5	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	40 257,3			მცირდება: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნება – 40,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) – 93,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 0110) – 35,8 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) – 30,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) – 40,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 16) – 140,0 ათასი ლარი

6	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	152 357,0			**იზრდება:** გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი 06 01 03) ქვეპროგრამის ასიგნება – 29,0 ათასი ლარი, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 115,0 ათასი ლარი, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 390,0 ათასი ლარი, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 750,0 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) – 145,0 ათასი ლარი, **მცირდება:** გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – 72,0 ათასი ლარი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 18,0 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) – 200,0 ათასი ლარი, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი 06 02 06 01) – 90,0 ათასი ლარი, სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) – 10,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 50,0 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 20 01) – 4,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) – 15,0 ათასი ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) – 40,0 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28) – 90,0 ათ. ლ,
7	განათლება	187 294,0		0	**იზრდება:** პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნება – 100,0 ათასი ლარი, იურიდიული კლინიკა (კოდი 07 05 02) – 19,1 ათასი ლარი, **მცირდება:** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 6 082,3 ათასი ლარი, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 02 01) – 50,0 ათასი ლარი, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 764,0 ათასი ლარი, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 07 02 04) – 900,0 ათასი ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 340,0 ათასი ლარი, უწყვეტი განათლების და

					სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) – 50,0 ათასი ლარი, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე (კოდი 07 06 01) – 400,0 ათასი ლარი
8	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა	52 716,7			იზრდება: პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) ქვეპროგრამის ასიგნება – 18,8 ათასი ლარი, სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (კოდი 08 01 05) – 11,7 ათასი ლარი, საკონცერტო ორკესტრი ბიგ– ბენდი (კოდი 08 04 01) – 29,1 ათასი ლარი, თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 12) პროგრამის ასიგნება – 9,0 ათასი ლარი, მცირდება: თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი (კოდი 08 01 03) – 50,0 ათასი ლარი, სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) – 31,4 ათასი ლარი, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნება – 3 556,4 ათასი ლარი, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) ქვეპროგრამის ასიგნება – 30,0 ათასი ლარი, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 75,0 ათასი ლარი, მწვრთნელთა მხარდაჭერა (კოდი 08 06 02) – 10,3 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება (კოდი 08 06 04) – 12 961,0 ათასი ლარი, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (კოდი 08 06 05) – 37,1 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 585,0 ათასი ლარი, შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) – 30,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) – 96,4 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02) – 96,9 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 10,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) – 25,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 08 11 10) – 96,7 ათასი ლარი,
9	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	4 772,3		0	მცირდება: თბილისის მუნიციპალური ქონების დაცვის უზრუნველყოფა (კოდი 09

					01) – პროგრამის ასიგნება – 109,0 ათასი ლარი, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) – 148,5 ათასი ლარი
10	ქ. თბილისის წარმომადგ. და აღმასრულებელი ორგანოები	117 124,0			იზრდება: ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) – 318,2 ათასი ლარი, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 156,0 ათასი ლარი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (კოდი 10 21) – 350,5 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 500,0 ათასი ლარით. მცირდება: მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) – 3 088,4 ათასი ლარი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური (კოდი 10 20) – 70,0 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 36,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 138,9 ათასი ლარი, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 4,7 ათასი ლარი, ჯრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 33,8 ათასი ლარი.
	სულ	1 270 531,8	1 270 531,8		

ა ნ ა ლ ი ზ ი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი ცვლილების პროექტით ბიუჯეტის ჯამური მოცულობა არ იცვლება და შეადგენს 1 270 531,8 ათას ლარს, რომელიც წლის ბოლოს არსებული ფაქტიური მდგომარეობისა და რეალობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით გადანაწილებულია სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე.

შემსრულებელი: ირაკლი შამათავა

20.12.2021